Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი
სოციალურ მეცნიერებებში
№18, ნოემბერი, 2021

თურქეთის საგარეო პოლიტიკა - უნილატერალიზმი თუ თამაში ორ პოლუსთან?

ნატო გაბარაშვილი
ბესო აბრამიშვილი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nato.gabarashvili109@sps.tsu.edu.ge
beso.abramishvili705@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

2016 წელს თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის, წინააღმდეგ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მისი მმართველობა სულ უფრო დაემსგავსა ავტორიტარულ რეჟიმს, რამაც დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებზე. დღესდღეობით, ერდოღანის მმართველობის პირობებში, ქვეყნის ეროვნული მისწრაფებები განისაზღვრება თურქეთის, როგორც რეგიონული და პოტენციური მსოფლიო ლიდერის პოზიციიდან. იდეოლოგიური თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკა დგას ნეოოსმანიზმის პლატფორმაზე, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს თურქეთის, როგორც დასავლეთისაგან დამოუკიდებელი აქტორის ჩამოყალიბებას,მეზობლებთან პრობლემების სტაბილიზებას და ოსმალეთის იმპერიის სამართალმემკვიდრეობას. შედეგად, აშშ–თურქეთის ურთიერთობები სულ უფრო მეტად პრობლემური ხდება. ყარაბაღის ბოლო ომის მიმდინარეობამ, შედეგებმა და ამ კონფლიქტში თურქეთის როლმა კი ცალსახად აჩვენა, რომ იგი გაცილებით დიდი საგარეო პოლიტიკური მიზნებისთვის მოქმედებს.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესები უშუალოდ მოიცავს მის სამეზობლოს. შესაბამისად, მის მიერ საგარეო ასპარეზზე გატარებული პოლიტიკა დიდ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ბოლო დროს სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები, თურქი და რუსი სამშვიდობოების განლაგება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკითხის აქტუალობას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს თურქეთის საგარეო პოლიტიკურ სვლებსა და მის მიერ შერჩეულ პარტნიორს რეგიონში მიმდინარე პროცესებში.

კვლევის მიზანია სკრუპულოზურად შევაფასოთ თურქეთის საგარეო პოლიტკური კურსი და მის წინაშე მდგარი გამოწვევები.

ნაშრომის ინოვაციურობას წარმოადგენს თურქეთის საგარეო პოლიტიკაში უნილატერალური ძვრების შენიშვნა და მისი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ჭრილში გაანალიზება, რისთვისაც გამოვიყენეთ ერთ-ერთი თეორია - კონსტრუქტივიზმი. აგრეთვე, საკითხის უკეთ შესასწავლად მოვუხმეთ პუტნამის ორ დონეზე თამაშის თეორიას. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ტიპის შრომებით არ არის მდიდარი ქართული ლიტერატურა, რაც ნაშრომს ანიჭებს ღირებულებას სამეცნიერო სფეროში.

აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენებითა და შესაბამისი აკადემიური მასალის გაანალიზებით, კვლევა ასაბუთებს, რომ თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ინტერესები უფრო მეტად მიმართულია თურქეთის, როგორც მსოფლიოს ცალკე პოლუსის, ძლიერი და დამოუკიდებელი აქტორის ფორმირებისაკენ და ნაკლებად შეესაბამება საერთაშორისო პოლიტიკაში ორ ანგარიშგასაწევ ძალას - აშშ–სა და რუსეთს - შორის პოლიტიკური თამაშის გზით სარგებლის მიღების მცდელობას. თურქეთს სურს თავად გახდეს ჰეგემონი როგორც რეგიონულ, ისე მსოფლიო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: თურქეთის საგარეო პოლიტიკა, უნილატერალიზმი, სამართლიანობისა და განვითარების პარტია, ორ დონეზე თამაშის თეორია, სტრატეგიული სიღრმე.

შესავალი

2002 წლიდან, სწორედ იმ პერიოდიდან, როდესაც თურქეთის რესპუბლიკის სათავეში მოვიდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მეთაურობით, თურქეთის ისტორიაში იწყება ერთგვარი გარდამტეხი ხანა. „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ (AKP) ისლამური იდეალების ირგვლივ ჩამოყალიბდა და იდეოლოგიურად ეყრდნობოდა აჰმეთ დავუთოღლუს მიერ 2001 წელს გამოცემულ წიგნს, სახელად "სტრატეგიული სიღრმე _ თურქეთის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხები". პარტია 2002 წლიდან უცვლელად იმყოფება ქვეყნის სათავეში და შესაბამისად ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე დიდი გავლენა აქვს. „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ მმართველობის საწყისი წლები უფრო მეტად კონსტრუქციულობით ხასიათდებოდა. ქვეყანას ისრაელთან, ამერიკის შეერთვებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპასთან პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდა ჩამოყალიბებული და ქვეყნის განვითარების კურსიც უშუალოდ დასავლეთზე იყო ორიენტირებული. ფაქტობრივად, შესაძლებელია ვთქვათ, რომ დავუთოღლუს დოქტრინა ფურცელზე რჩებოდა, მმართველი პარტია კი აგრძელებდა ქემალისტური მემკვიდრეობის გზაზე სვლას. თუმცა მეორე ვადით არჩევის შემდეგ აშკარად შეგვიძლია დავინახოთ რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები, რაც განსაკუთრებით შეინიშნება 2016 წლის სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. სწორედ აღნიშნული ცვლილებების შემჩნევა და მათი გაანალიზება წარმოადგენს გარდაუვალ აუცილებლობას არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონის, არამედ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებისთვისაც, ვინაიდან თურქეთი ორივე რეგიონში ანგარიშგასაწევი ძალაა და რეგიონებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესში ცდილობს აქტიურად იყოს ჩართული.

ჩვენს შემთხვევაში საკვლევ პრობლემას წარმოადგენს თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი და აკადემიურ სივრცეში მის შესახებ არსებული აზრთა სხვადასხვაობა - თურქეთის საგარეო პოლიტიკური ამბიციები მკვლევართა შორის ერთხმად არ არის შეფასებული, როგორც უნილატერალური ძალის ფორმირებისაკენ მიმართული მცდელობები ან საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე დიდ ძალებთან თამაშის შედეგად მიღებულ სარგებელზე ორიენტირებული. ლიტერატურის მიმოხილვისას განხილული და ერთმანეთთან შედარებული იქნება თურქეთის საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე მომუშავე ისეთ ავტორთა შრომები, როგორებიცაა ჰალილ კარაველის ,,კონსტრუქტივიზმი და ავტორიტარიზმი თურქეთში“, მუსტაფა აიდინის სამი სტატია თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე, ემრე ერშენისა და მითათ ჩელიკპალას სტატია ,,თურქეთი და ევრაზიის ცვალებადი ენერგეტიკული გეოპოლიტიკა“. აგრეთვე ბასკინ ორანის ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი, როგორიცაა ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკა, 1919-2006“. ზოგად-ობიექტური ცოდნის შესაქმნელად და ჩვენი მსჯელობისათვის უფრო დასაბუთებული სახის მისაცემად დავიხმართ თეორიულ ჩარჩოს, კონსტრუქტივიზმს. იმავე მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ კვლევაში ანალიზისას პუტნამის ორ დონეზე თამაშის თეორიის გამოყენება.

კვლევის ობიექტი: თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი

კვლევის საგანი: იდენტობის და საერთაშორისო პოლიტიკაში თვითაღქმის როლი თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირება

კვლევის მიზანია საკითხის ირგვლივ აკადემიური წყაროების შესწავლისა და შესაბამისი თეორიული ჩარჩოების მორგების გზით,შევაფასოთ თურქეთის საგარეო პოლიტკური მისწრაფებები და მის წინაშე მდგარი გამოწვევები.

წინამდებარე ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესო იქნება პოლიტიკის მეცნიერებითა და საერთაშორისო ურთიერთობებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის, რომელთაც აღნიშნულ სფეროებში შედარებით ნაკლები პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, ვინაიდან მოცემული კვლევა არა მხოლოდ აღწერს და აანალიზებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ჩარჩოში, არამედ ქმნის ერთგვარ პორტფოლიოსაც, თუ რა პრინციპების გათვალისწინებით უნდა იმოქმედონ თურქეთის უახლოეს სამეზობლოში არსებულმა პატარა ქვეყნებმა რეგიონის დიდ ძალასთან ურთიერთობების წარმოებისას.

საკვლევი კითხვები რომლებსაც კვლევა გასცემს პასუხებს:

- რა ფაქტორები ახდენს გავლენას თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე?
- როგორ განსაზღვრავს იდენტობა თურქეთის საგარეო პოლიტიკას?

სწორედ ზემოთაღნიშნული მეთოდოლოგიით ვეცდებით ავხსნათ კაუზალური კავშირები შემდეგ ცვლადებს შორის:

დამოუკიდებელი ცვლადები: შიდა და გარე პოლიტიკური ფაქტორები / იდენტობა

დამოკიდებული ცვლადი: თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი

ჰიპოთეზა: თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური ინტერესები უფრო მეტად მიმართულია თურქეთის, როგორც მსოფლიოს ცალკე პოლუსის, ძლიერი და დამოუკიდებელი აქტორის ფორმირებისაკენ და ნაკლებად შეესაბამება ორ ანგარიშგასაწევ ძალას, აშშ–სა და რუსეთს შორის პოლიტიკური თამაშის გზით სარგებლის მიღების მცდელობას. თურქეთს სურს თავად გახდეს ჰეგემონი როგორც რეგიონალურ, ისე მსოფლიო დონეზე.

დროის შუალედი რომელიც კვლევაში იქნება შესწავლილი მოიცავს 2002-2021 წლების პერიოდს.

ნაშრომის სტრუქტურა: აბსტრაქტი, შესავალი, თეორიის მიმოხილვა, ლიტერატურის მიმოხილვა, ძირითადი ნაწილი, დასკვნა და ბიბლიოგრაფია.

ლიტერატურის მიმოხილვა

საგარეო პოლიტიკური კურსისათვის დამახასიათებელი დინამიკურობიდან გამომდინარე საერთაშორისო ასპარეზზე თურქეთის მისწრაფებების ზუსტი აკადემიური ანალიზი და შეფასებები საჭიროებს ახალ ლიტერატურას, ამ თვალსაზრისით კი აკადემიურ სფეროში რელევანტური წყაროების სიმცირე შეინიშნება. მოცემული ნაშრომით ვეცდებით ამოვავსოთ აღნიშნული ლიტერატურული ჩავარდნა და საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც მეცნიერებას შევმატოთ ღირებული კვლევა.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კვლევა ძირითადად ორიენტირებულია იდენტობისა და სოციალური კონსტრუქციების როლზე თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ აკადემიური ლიტერატურა, რომელიც ფოკუსირებულია მმართველი პარტიის იდეოლოგიასა და ქვეყნის ლიდერის მიერ განხორციელებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მისწრაფებების ზუსტი აკადემიური ანალიზი და შეფასებები საჭიროებს ახალ ლიტერატურას, კვლევა გარკვეულწილად ამხსნელობითი ხასიათისაცაა, თუ როგორ ტრანსფორმირდა 2016 წლის შემდგომ თურქეთი და როგორ ჩამოუყალიბდა საკუთარი თავის უნილატერალურ აქტორად აღქმა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ შედარებით ძველი შრომებიც, რომლებიც თავის მხრივ დაგვეხმარებიან ნათლად ავხსნათ საგარეო პოლიტიკური კურსის გადასვლის ეტაპი. თურქეთის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციაზე საუბრისას, თუნდაც პარალელის გავლების სახით, შეუძლებელია არ განვიხილოთ ათათურქის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა (რომელსაც მეტ-ნაკლებად მიჰყვებოდა თურქეთის ყველა მმართველი პარტია). ამ მხრივ აღსანიშნავია მუსტაფა აიდინის მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი ,,თურქეთის საგარეო პოლიტიკის დეტერმინანტები: ისტორიული ჩარჩო და ტრადიციული კომპონენტები", სადაც ავტორი ავითარებს მოსაზრებას, რომ ქემალისტური პრინციპების დანერგვისა და დასავლეთზე ორიენტირის აღების შემდგომ, რაც აგრეთვე ცნობილია მოდერნიზაციის სახელითაც, თურქეთმა მეზობლებთან კარგი ურთიერთობების დამყარება შეძლო და იმავდროულად მას გზა გაეხსნა დასავლური საერთაშორისო თანამშრომლობების წევრობისკენ, რომელთა პროფილებიც თავის მხრივ უსაფრთხოებისა და მშვიდობის მშენებლობას მოიცავდა(Aydin, Determinants of Turkish foreign policy: historical framework and traditional inputs, 2006, გვ. 176). აღნიშნულზე დაყრდნობით, ავტორი შენიშნავს, რომ ათათურქის მიერ მოდერნიზაცია და ვესტერნიზაცია სინონიმებად გამოიყენებოდა. საინტერესოა მოცემული მოსაზრება რამდენად რელევანტურია დღევანდელი თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსისთვის, რასაც მოგვიანებით დავუბრუნდებით.

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე მეცნიერ-მკვლევართა ნაწილის აზრით დიდი გავლენა იქონია ქვეყნის საშინაო პოლიტიკური დღისწესრიგის მნიშვნელოვანმა ცვლილებამ, რასაც ქრონოლოგიურად ხელისუფლებაში ,,სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" (AKP) მოსვლას უკავშირებენ. სიუზენ გაინესი სწორედ ამ აზრს ავითარებს თავის ნაშრომში „რეპრესია, სამოქალაქო კონფლიქტი და ლიდერობა - თურქეთის შემთხვევა", რომელიც 2017 წელს გამოქვეყნდა. ავტორის აზრით, ზემოთაღნიშნული ცვლილებები განპირობებული იყო პარტიის ისლამისტური იდეოლოგიით, კერძოდ გაინესს მიაჩნია, რომ ერდოღანის პარტია ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან თავს მიიჩნევდა მანამდე არსებული ისეთი ისლამისტური პარტიების სამართლამემკვიდრედ, როგორებიცაა „კეთილდღეობის პარტია" და „ღირსების პარტია"(Gaines, 2017, გვ. 18). საინტერესოა, რომ ანალოგიურ მსგავსებას შენიშნავს ერგუნ ოზბუდუნი და AKP-ს მიერ განხორციელებულ პოლიტიკას პირდაპირ უკავშირებს იმ ისლამისტურ პოლიტიკურ გაერთიანებებს რომლის წევრიც სხვადასხვა დროს იყო რეჯეფ თაიფ ერდოღანი (Ozbudun, 2006, გვ. 545).

ზემოთ აღნიშნულ ავტორთაგან განსხვავებით, თურქი ანალიტიკოსი, ჰალილ კარაველი, თავის სტატიაში „კონსერვატიზმი და ავტორიტარიზმი თურქეთში" ავითარებს მოსაზრებას რომ თურქეთის

პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოვიდა ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაციის დაპირებებით და მის შეხედულებებს საერთო არ ჰქონია რეპრესიულ ისლამისტურ იდეოლოგიასთან, თუმცა მისი მმართველობის პირობებში თურქეთი სწრაფი ტემპებით გარდაიქმნა არალიბერალურ, ავტორიტარულ სახელმწიფოდ.(Karaveli, 2016, გვ. 121)

იმ ავტორთა ნაშრომების მიმოხილვის შემდეგ, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის შიგნით ფუნდამენტური ცვლილებების მიზეზებსა და მიზნებზე, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ის შრომებიც, რომლებიც თურქეთს რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე უნილატერალურ ან რამდენიმე პოლუსთან მოთამაშე ძალად განიხილავენ.

რეიჩელ ელეჰიუსი, თავის ნაშრომში „თურქეთი და ნატო: ურთიერთობა რომლის გადარჩენაც ღირს“, ავითარებს მოსაზრებას რომ ნატო-თურქეთის ურთიერთობები ორივე მხარისთვის თანაბრად სარგებლიანია და რეკომენდაციის სახით თურქეთს მოუწოდებს რუსეთისაგან სამხედრო შეიარაღების, კერძოდ S-400-ების, შეძენის შეჩერებას. ავტორი ობიექტურად აანალიზებს ორ მხარეს შორის ურთიერთობებში ბზარის გაჩენას, რასაც ხსნის სირიის კონფლიქტში მხარეთა ურთიერდაპირისპირებული პოზიციების მაგალითზე და იქვე დასძენს, რომ თურქეთი ჩრდილოეთ სირიაში იქცა უნილატერალურ ძალად. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ზოგადი შინაარსობრივი ხაზი თურქეთს არ განიხილავს დამოუკიდებელ პოლუსად და ამ ფონზე მისი ზემოთგაჟღერებული მოსაზრება სირიის კონფლიქტთან მიმართებაში, ერთგვარ პარადოქსს ქმნის. (Ellehuus, 2019)

თურქეთის საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით ელეჰიუსის მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს მანფრედ ვებერი და თურქეთის განვითარება დასავლეთის გარეშე რთულ გზად მიაჩნია. მისი აზრით, აუცილებელია თურქეთმა და ევროკავშირმა დაიწყონ ხელახალი გამჭვირვალე და სამართლიან პრაქტიკაზე დაფუძნებული ურთიერთობები, საიდნაც ორივე მათგანი მიიღებს თანაბარ სარგებელს, თურქეთის უნილატერალურ ძალად ჩამოყალიბების შემთხვევაში კი ამგვარი რამ წარმოუდგენელი იქნება. თუ რა გზას აირჩევენ მხარეები ეს დიდწილად დამოკიდებულია თითოელი მხარის საშინაო პოლიტიკურ დღისწესრიგსა და იმ ღირებულებებზე რომლებსაც ისინი იზიარებენ (Weber, 2018).

თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე შექმნილი ლიტერატურის მიმოხილვისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ მუსტაფა აიდინის შრომები ,,თურქეთი და კავკასია“ და ,,ფუკოს ქანქარა: თურქეთი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნაშრომები 2006 და 2007 წლებში გამოქვეყნდა და მას შემდეგ მსოფლიო თუ რეგიონულ პოლიტიკაში მრავალი რამ შეიცვალა, თურქეთის მაშინდელი დამოკიდებულებები ამ ორი რეგიონის მიმართ დღესაც ფაქტობრივად უცვლელი რჩება, ამიტომ აღნიშნული შრომები არ კარგავენ აქტუალობას. ,,თურქეთი და კავკასია“, რომელიც 2006 წელს გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალში ,,კავკასია და გლობალიზაცია“, მიმოიხილავს იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რაც თურქეთის წინაშე წარმოიშვა სსრკ-ს კოლაფსის შემდგომ. ნაშრომის მიხედვით, ცივი ომის პერიოდში აშშ-ს სატელიტად ქცეულ თურქეთს პირველად მიეცა შესაძლებლობა დამოუკიდებელი პოლიტიკა ეწარმოებინა ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან(Aydin, 2006). გარდა ამისა, იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ იყო ნათლად განსაზღვრული, თუ რა ბედი ეწეოდა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს, ამან კი თურქეთი

უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დააყენა: თუ ნატო არსებობას შეწყვეტდა, შესაძლოა იგი დასავლეთისთვის ისეთი მიმზიდველი აღარ ყოფილიყო, რაც, როგორც მის სამხედრო ინფრასტრუქტურის, ისე ეკონომიკის განვითარებას, მნიშვნელოვნად დააბრკოლებდა. აღნიშნული საფრთხე ცხადია დროის მხოლოდ იმ მოცემულ მომენტში არ არსებობდა და პოლიტიკის არაპროგნოზირებად ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, აქტუალური უნდა იყოს თურქეთისთვის დროის ნებისმიერ მონაკვეთში. აიდინი მიიჩნევს, რომ რეგიონში შექმნილმა ამგვარმა მდგომარეობამ თურქეთი დააფიქრა თავის ახლადშეძენილ როლზე, რაც ავტორისვე აზრით გამოიხატებოდა თუნდაც იმაში, რომ სწორედ თურქეთის ინიციატივით შეიქმნა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), რომელიც მიზნად ისახავდა ხელი შეეწყო რეგიონის სტაბილიზაციისათვის და უზრუნველეყო ამ სახელმწიფოებთან ინსტიტუციური კავშირი, რომლის მეშვეობითაც ისინი დაკავშირდებიან დანარჩენ მსოფლიოსთან. აიდინის მეორე ნაშრომი, რომელიც 2007 წელს გამოიცა დაახლოებით იმავე მოსაზრებას ავითარებს, თუმცა ამ ნაშრომში კავკასიასთან ურთიერთობების გარდა განხილულია თურქეთისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების კომპლექსური ურთიერთობებიც. აქ თავს იჩენს თურქი ხალხის მსგავსი იდენტობის, ისტორიის, რელიგიის საკითხები, თუმცა აიდინი იქვე შენიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, თურქეთს სურდა ახლადგათავისუფლებული თიურქი ერებისთვის თავად გაეწია ლიდერის როლი, ამ ერებში არ შეინიშნებოდა მსგავსი სურვილი ეძებნათ ახალი ,,დიდი ძმა“ (Aydin, 2007, გვ. 7). აიდინი ორივე ნაშრომში ობიექტურად შენიშნავს, რომ სსრკ-ს კოლაფსი აპრიორი არ ნიშნავდა თურქეთის ჰეგემონობას არც კავკასიის და არც ცენტრალური აზიის რეგიონში. მეტიც, მას პოტენციური მეტოქეები გაუჩნდა რუსეთისა და ირანის სახით, მეორე მხარეს კი აშშ და მისი გავლენის ქვეშ ყოფნა დარჩა.

თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა არცთუ იშვიათად მის უპირატესობასაც განაპირობებს. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ მისი ისტორიული ლოკაცია დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ევროპისა და აზიის ან თუნდაც სხვა, შედარებით მცირე რეგიონების მიჯნაზე, დიდწილად განაპირობებს მის გასათვალისწინებელ ადგილს საერთაშორისო სისტემაშიც და მის როლსაც გლობალურ-პოლიტიკურ გადათამაშებებში. ეს გარემოება კი, კარგად გააზრებული ქვეყნის შიგნითაც, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს თურქულ იდენტობაში განსაკუთრებულობის, გამორჩეულობისა და ძლიერების აღქმის გაჩენაზე. მაგალითად, ცნობილი თურქი ავტორები, ემრე ერშენი და მითათ ჩელიკპალა, თავიანთ სტატიაში, „თურქეთი და ევრაზიის ცვალებადი ენერგეტიკული გეოპოლიტიკა”, მხარს უჭერენ მოსაზრებას, რომ თანამედროვე დროში თურქეთი აქტიურად ცდილობს მსოფლიოს ენერგიის ჰაბის როლის ათვისებას. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავად ენერგეტიკული რესურსების იმპორტიორი და მსოფლიოში ერთ–ერთი მთავარი მომხმარებელია, თავისი მდებარეობის საშუალებით ის მაინც ინარჩუნებს მსოფლიოს ენერგეტიკულ პროცესებში ეპიცენტრულ ადგილს. ენერგეტიკული რესურსები კი მჭიდრო კავშირშია ძალის პოლიტიკასთან და ის ქვეყნები და მოთამაშეები, რომლებიც აკონტროლებენ ბუნებრივი რესურსების საბადოებს ან ახორციელებენ მათ ტრანსპორტირებას, როგორც ეს თურქეთის შემთხვევაში ხდება, სტაბილურად ინარჩუნებენ ძლიერ გავლენას, როგორც რეგიონალურ, ასევე მსოფლიო პოლიტიკის

ძალთა ბალანსზე(Emre Erşen, Mitat Çelikpala, 2019, p. 584). ავტორები აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, სამეცნიერო წრეებში აქტიურად იკვლევენ თურქეთის მზარდ მნიშვნელობას ევრაზიის ენერგეტიკულ გეოპოლიტიკაში - განსაკუთრებით ევროკავშირსა და რუსეთს შორის გაძლიერებული კონკურენციის ფონზე. ხსენებული სუპერკონტინენტიდან, სადაც მსოფლიოს ნავთობისა და გაზის მარაგების უმეტესი ნაწილია აკუმულირებული, ენრეგორესურსების ტრანსპორტირება უცხოური ბაზრებისაკენ სხვადასხვა მეცნიერებისა და ექსპერტების მიერ უკვე შეფასდა, როგორც „ახალი დიდი თამაში“, რომელიც გლობალურ და რეგიონულ აქტორებს შორის მიმდინარეობს და რომელშიც ანკარას ადგილი და მნიშვნელობა ძირითადია(Emre Erşen, Mitat Çelikpala, 2019, p. 585).

გეოგრაფიული მდებარეობის როლზე საუბრობს თურქი მეცნიერი და პოლიტიკოსი, ბასკინ ორანიც, თავის ცნობილ ნაშრომში „თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1919–2006 წწ.“ და აღნიშნავს, რომ სწორედ საერთო გეოგრაფიული მდებარეობითა და ერთი მოსახლეობის ფაქტორით შეგვიძლია ავხსნათ „გასაოცარი მსგავსება“ ოსმალეთის იმპერიისა და თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკებს შორის(Oran, 2010, p. 2). ბასკინ ორანი ავითარებს მოსაზრებას, რომ თურქეთის რესპუბლიკა, თავისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თავისებურებებიდან გამომდინარე, ამბივალენტურ დამოკიდებულებას ავლენს ოსმალეთის იმპერიის მიმართ, რომლის სამართალმემკვიდრედაც გვევლინება ის. ავტორის აზრით, თურქეთის რესპუბლიკამ უარყო ოსმალური რეჟიმი და არა მისი სახელმწიფოებრიობის თავისებურებები(Oran, 2010, გვ. 5). მისივე აზრით, რამდენადაც „აღმოსავლეთის საკითხი“ ბოლო საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ინარჩუნებს აქტუალობას მსოფლიოს დიდ ძალებს შორის, ანკარას მიერ შავი ზღვის სრუტეების ფლობა და მათი კონტროლი საგრძნობლად ზრდის ქვეყნის, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობას.

თეორიის ლიტერატურული მიმოხილვა

1992 წელს ალექსანდრე ვენდტმა, იელის უნივერსიტეტის პროფესორმა, გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „ანარქია არის ისეთი, როგორადაც მას სახელმწიფოები აღიქვამენ“, რომელმაც ძალიან მალევე მოიპოვა პოპულარობა, ვინაიდან ვენდტის ეს სტატია არის ერთგვარი პასუხი და კრიტიკა რაციონალური თეორიებისა, უფრო კონკრეტულად ნეოლიბერალიზმისა და ნეორეალიზმისა. ვენდტი განსაკუთრებულად უპირისპირდება ქენეთ უოლცის სტრუქტურულ რეალიზმს და მის მოსაზრებებს ანარქიის ბუნების შესახებ. ის არ უარყოფს ანარქიის არსებობას საერთაშორისო სისტემაში, თუმცა მიიჩნევს, რომ ანარქია არ არის ფიზიკური მოცემულობა, ის სოციალურადაა კონსტრუირებული ქვეყნების მიერ. ამ მოსაზრების ილუსტრაციაა თავად სტატიის სათაურიც. (აკობია, 2006, გვ. 48-50)

ვენდტისათვის კონსტრუქტივიზმი არის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურული თეორია დაფუძნებული სამ ძირითად იდეაზე: 1. „სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკური თეორიის ძირითადი ერთეულებია“. 2. სახელმწიფოთა სისტემაში ძირითადი სტრუქტურები მატერიალურზე მეტად სუბიექტურად კონსტრუირებულია. 3. სახელმწიფოს იდენტობაც და ინტერესებიც ამ

სოციალური სტრუქტურების მიერაა აგებული, ვიდრე ადამიანის ბუნების (როგორც ამას ნეორეალიზმი იზიარებს) ან საშინაო პოლიტიკის მიერ (როგორც ამას ნეოლიბერალიზმი იზიარებს). (Behravesh, 2011) ამავე სტატიაში ბეჰრავეში ვენდტის მოსაზრებებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ „როგორც სოციალური თეორია, კონსტრუქტივიზმი უპირისპირდება მატერიალიზმს იმით, რომ ადამიანურ ასოციაციურ სტრუქტურებს მთლიანად კულტურულ და არამატერიალურ ფენომენად განიხილავს, ხოლო რაციონალიზმს იმით, რომ თავიანთ ფუნქციას არა როგორც ქმედებით განპირობებულს, არამედ როგორც იდენტობითა და პირადი ინტერესით ჩამოყალიბებულს, თუმცა მატერიალური ძალების გარკვეულ როლს მაინც აღიარებს და ამბობს, რომ ხალხი მაინც ნებითი თანამონაწილეა.“ (Behravesh, 2011)

კონსტრუქტივიზმის გამოჩენა საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადად დაკავშირებულია ცივი ომის დასასრულთან, როდესაც გაბატონებული ტრადიციული თეორიები „ანგარიშში შეცდნენ“. ძირითდად სახელმწფოზე ფოკუსირების გამო, ტრადიციულმა თეორიებმა აღარ „დაიტოვეს ადგილი“ ინდივიდუალების დღის წესრიგის საკვლევად. არადა სწორედ ჩვეულებრივი ადამიანების ქმედებებმა მოუღო ბოლო ცივ ომს და არა სახელმწიფოების ან საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევამ. კონსტრუქტივიზმი ამ შემთხვევის შესახებ ამბობს, რომ სოციალური სამყარო ჩვენი საკუთარი ქმედებების შედეგად ყალიბდება. ამ პროცესის მონაწილეები, ძირითადად ძლიერი მმართველები, ლიდერები, გამუდმებით აყალიბებენ და ზოგჯერ ფორმასაც უცვლიან საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებას თავიანთი ინტერაქციით და საქციელებით. (Theys, 2019)

ალექსანდრ ვენდტი 1995 წელს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში „საერთაშორისო პოლიტიკის მშენებლობა“ აღნიშნავს, რომ სოციალური სტრუქტურები განსაზღვრულია საერთო, გაზიარებული მოლოდინებით, აღქმებით და ცოდნით. სწორედ ეს განსაზღვრავს აქტორებს შორის ურთიერთობები კონფლიქტური იქნება თუ თანამშრომლური. მაგალითად, უსაფრთხოების დილემა არის სოციალური სტრუქტურა, რომელიც შედგება ინტერსუბიექტური გაგებებისაგან. უსაფრთხოების დილემის პირობებში, სახელმწიფოები იმდენად არ ენდობან ერთმანეთს, რომ ყველაზე უარესს ელიან ერთმანეთისგან, რის შედეგადაც საკუთარ ინტერესებს მხოლოდ საკუთარ თავზე დაყრდნობით საზღვრავენ, სხვისი დახმარების მოლოდინის გარეშე. „უსაფრთხოების ერთობა“ განსხვავებული სოციალური სტრუქტურაა, რომელიც ყალიბდება საერთო ცოდნით. უსაფრთხოების დილემისგან განსხვავებით მასში ქვეყნები ერთმანეთს ენდობიან, შესაბამისად კონფლიქტების გადაჭრაც ომის გარეშე ხდება.(Wendt, 1995)

მეორე მხრივ, ვენდტის აზრით სოციალური სტრუქტურები მოიცავს მატერიალურ რესურსებსაც. ამ იდეის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მაგალითი, რომ ბრიტანეთის 500 ბირთვული იარაღი ამერიკის შეერთებული შტატებისათვს არის ნაკლებ საშიში, ვიდრე ჩრდილოეთ კორეის 5 იგივე იარაღი. იმიტომ, რომ ბრიტანეთი ამერიკის მეგობარია, ჩრდილოეთ კორეა კი არა, „ მეგობრობა და მტრობა კი გაზიარებული გაგების ფუნქციაა“ („amity or enmity is a function of shared understandings“) (Wendt, 1995, გვ. 73)

რაც შეეხება რობერტ პუტნამის ორ დონეზე თამაშის თეორიას, მის მიხედვით ეროვნული მთავრობები საერთაშორისო დონეზე მუდმივად ცდილობენ შიდა ზეწოლა მაქსიმალურად დააკმაყოფილონ და

გაატარონ რელევანტური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ეროვნული ინტერესებით იქნება განპირობებული. თეორიის თანახმად პოლიტიკური ლიდერები ორ დაფაზე მოქმედებენ: საერთაშორისო და საშინაო დაფებზე. ამგვარად მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკა ორივე დონეზე ურთიერთშემავსებელი უნდა იყოს და ერთ ,,დაფაზე" გადადგმულ ნაბიჯს ზურგს მეორე დონეზე განხორციელებული პოლიტიკა უნდა უმაგრებდეს (აკობია, 2006).

უნილატერალიზმი თუ თამაში ორ პოლუსთან

თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებაში გარდამტეხი მნიშვნელობის ორი საკვანძო მოვლენა შეგვიძლია გამოვყოთ. პირველი მათგანი 2002 წლით თარიღდება, როდესაც "სამართლიანობისა და განვითარების პარტია" მოვიდა ქვეყნის სათავეში და ეტაპობრივად დაიწყო დავუთოღლუს ნეოოსმანისტური იდეოლოგიის სახელმწიფო პოლიტიკურ დოქტრინად ჩამოყალიბება. მეორე ეტაპად კი 2016 წელი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც თურქეთში არშემდგარი სამხედრო გადატრიალება ვიხილეთ. სწორედ აღნიშნულმა შემთხვევამ მოუპოვა არნახული მხარდაჭერა ერდოღანის მთავრობას. ამავე დროს კრახი განიცადა ოპოზიციის მთავარმა საყრდენმა - სამხედრო ელიტამ. ვინაიდან სამხედრო გადატრიალება (რა მოტივებითაც უნდა იყოს განპირობებული ის) საერთაშორისო საზოგადოების თვალში არასდროს ასოცირდება პროგრესთან, ერდოღანმა მსოფლიოს თანადგომაც ნათლად იგრძნო, რამაც თავის მხრივ შეაგულიანა მისი ამბიციები.

რადგანაც ჩვენს ამოსავალ წერტილს წარმოადგენს საკითხის კონსტრუქტივიზმითა და პუტნამის ორ დონეზე თამაშის თეორიით ახსნა, საჭიროდ მიგვაჩნია თავიდანვე გამოვკვეთოთ კაუზალური კავშირები მათ შორის. საერთო თურქული იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდი როლი აქვს თიურქულ ენას, საერთო ისტორიას, სუნიტური მიმართულების ისლამსა და კულტურას. AKP-ს იდეოლოგია საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას აქტიურად ეყრდნობა მოცემულ ოთხ ფაქტორს და ცდილობს მათ საფუძველზე იმავე იდენტობის „შეტანას" სხვა თიურქულენოვან სახელმწიფოებში.

სსრკ-ის დაშლაში თურქეთმა არაერთი შესაძლებლობა დაინახა, უპირატესად კი პან-თურქული იდეების განხორციელების პერსპექტივა(გაჩეჩილაძე, 2018). იმ პერიოდისთვის თურქეთი ლიბერალურ მოტივებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, შესაბამისად მსოფლიო თანამეგობრობა აღიქვამდა, რომ თურქეთი თიურქულენოვანი სახელმწიფოებისათვის მისაბაძი მაგალითი იქნებოდა, რის შედეგადაც რეგიონში დემოკრატიული რესპუბლიკების რიცხვი კიდევ მეტად უნდა გაზრდილიყო(სვანიძე, 2007). უნდა აღინიშნოს, რომ თურქული საბჭო ამ სახით თავიდანვე არ ჩამოყალიბებულა და მის პროტოტიპს წარმოადგენდა თიურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერთა სამიტი, რომელიც 1992 წელს დაფუძნდა თურქეთის ინიციატივით, 2006 წელს ნურსულთან ნაზარბაევის იდეით კი დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაზე დაიწყეს საუბარი, რაც საბოლოოდ 2009 წელს დასრულდა თურქული საბჭოს დაარსებით(Sari, 2017).

ჩვენ ვიზიარებთ მუსტაფა აიდინის მოსაზრებას, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოებს არ სურთ შეიძინონ ახალი ,,დიდი ძმა" თურქეთის სახით, ეს თავის მხრივ ამ უკანასკნელსაც კარგად ჰქონდა გააზრებული, თუმცა თურქეთს საერთო იდენტობა, რელიგია, საგარეო პოლიტიკური ინტერესები,

ენობრივი ჯგუფი და კულტურული მსგავსება საშუალებას აძლევს დააფიქროს არა თიურქულენოვან სახელმწიფოთა ლიდერები, არამედ მათი მოქალაქეები ერთ პოლიტიკურ ერთეულში გაერთიანებაზე. ამისთვის ანკარა იდეალურად იყენებს ხსენებულ რეგიონულ ორგანიზაციას - თურქულ საბჭოს, რომლის ფარგლებშიც თურქეთი უხვად გასცემს ეკონომიკურ დახმარებას საბჭოს წევრ სახელმწიფოებზე - ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ექსიმბანკის მიერ თიურქულენოვანი სახელმწიფოებისადმი გაწეული მილიარდი დოლარის ოდენობის დახმარება, რითიც ამ სახელმწიფოებს გაუადვილდათ საბჭოთა კავშირის შემდგომ პერიოდში მოეხდინათ ეკონომიკური თუ საბაზრო რესტრუქტურიზაცია. ამასთანავე საბჭოს შემუშავებული აქვს არაერთი საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც აზერბაიჯანელ, ყირგიზ და ყაზახ სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ უმაღლესი განათლება თურქეთში(Turkic Culture and Heritage Foundation, 2021), რაც ამ უკანასკნელს მათ თვალში ,,ზესახელმწიფოდ" წარმოაჩენს, თურქ პოლიტოლოგთა სამომავლო გათვლებით კი ეს პოლიტიკური ინტეგრაციის საფუძველსაც შექმნის (Sari, 2017).ამას ადასტურებს მაგალითისთვის Insight Turkey-ს 2018 წლის შემოდგომაზე გამოსული ნომერი, სადაც საუბარია თურქეთის ცენტრალური აზიის რეგიონში დაბრუნებაზე, ერთ-ერთ არგუმენტად კი სტატიის ავტორს სწორედ რბილი ძალა და მარმარას უნივერსიტეტში თეოლოგიურ ფაკულტეტზე ჩარიცხული ასობით სტუდენტი მოჰყავს, რომლებიც სწორედ ცენტრალური აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდან არიან. ცხადია ცენტრალური აზიის ქვეყნების თურქეთთან კავშირი პრაგმატულ ხასიათს ატარებს და მათ არანაირი პან-თურქული იდეები ამოძრავებთ. ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რბილი ძალა მოკლევადიან პერიოდში შესაძლოა შეუმჩნევლად მოქმედებდეს, მაგრამ, როგორც არა ერთ მაგალითს უჩვენებია, მისი შედეგები გაცილებით ეფექტური შეიძლება იყოს დროის ხანგრძლივი მონაკვეთის შემდეგ.

ის ფაქტი, რომ თურქეთის მმართველი პარტია თავისი დღის წესრიგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს საკუთარი იდენტობის წინ წამოწევით, დასტურდება 2013 წლის „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" მეოთხე გენერალური კონგრესის მაგალითითაც, რომელზეც პარტიის ლიდერმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, 2023 წლისათვის, თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავისათვის, შესასრულებელ მიზნად დასახა ლოზუნგი: „დიდებული ერი, დიდებული ძალა". იმავე განცხადებაში ერდოღანმა თურქეთის ახალგაზრდობას მოუწოდა, რომ მხედველობაში იქონიონ არა მხოლოდ 2023, არამედ 2071 წელიც(Hillel Fradkin and Lewvis Libby, 2013, გვ. 41-42). 2071 წელი შემთხვევით შერჩეულ თარიღს არ ჰგავს და დასავლეთისათვის საკმაოდ მგრძნობიარე საკითხს წარმოადგენს - სწორედ 2071 წელს, მანასკერტის ბრძოლიდან, სელჩუკების მიერ ბიზანტიელებთან მოპოვებული გადამწყვეტი გამარჯვებიდან, 1000 წლისთავი სრულდება. რეჯეფ თაიფ ერდოღანს თავის გადაწყვეტილებებსა და სიტყვით გამოსვლებში სიმბოლოების გამოყენება რომ უყვარს დასტურდება აია სოფიას მეჩეთად გადაკეთებისათვის შერჩეული თარიღითაც - 24 ივლისი ლოზანის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეა, აღნიშნული ხელშეკრულება კი თურქეთის კონსერვატულად განწყობილ წრეებში ეროვნული ღირსების შემლახველად და დამამცირებელ აქტად არის მიჩნეული. ამგვარი სიმბოლოებისა და იდეების წინ წამოწევით ერდოღანი ცდილობს ნაციონალისტური და ისლამისტური განწყობების გაღვივებას. ქვეყნის შიგნით ამ გზით მოპოვებული

მხარდაჭერით კი საშუალება ეძლევა თამამად გადადგას ამბიციური ნაბიჯები საგარეო ასპარეზზეც. სწორედ სახალხო ნების მოშველიების გზით სურს დაასაბუთოს თავისი ახლებური აგრესიული პოლიტიკა ევროპისა და ნატოს მიმართ, ასევე მის მიერ განხორციელებული პოლიტიკა სირიასა თუ ყარაბაღში. ამ უკანასკნელმა კონფლიქტმა ნათლად დაგვანახა, რომ თურქეთი არ აპირებს რუსეთისათვის ანგარიშის გაწევას და პოზიციების დათმობას სამხრეთ კავკასიაში, მსგავსად ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონებისა.

დიდი სახელმწიფოებისა და თურქეთის ინტერესები არ თანხვდება არც ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნიდან მრავალი ათწლეულის განმავლობაში ის დასავლეთის მთავარ სატელიტს წარმოადგენდა აღმოსავლეთთან ურთიერთობისას. საწყის წლებში AKP ერდოღანის მეთაურობით თითქმის უცვლელად მიჰყვებოდა მისი წინამორბედების მიერ შერჩეულ კურსს და ძირითადი ორიენტირი სწორედ დასავლეთზე ჰქონდა აღებული, რაც დღესდღეობით უკვე თურქეთის რადიკალურ წრეებში დასავლეთის ჩრდილქვეშ ყოფნად აღიქმება. ვინაიდან თურქეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ამგვარ განწყობებს იზიარებს, პრეზიდენტ ერდოღანისთვის მომგებიანია განახორციელოს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც თურქეთს უნილატერალურ ძალად და მსოფლიო პოლიტიკაში ანგარიშგასაწევ აქტორად წარმოაჩენს.

შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თურქეთი დასავლეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ვითარდებოდა და მის საგარეო პოლიტიკურ კურსსაც ნათლად ეტყობოდა აშშ–სთან და ევროპის წამყვან ქვეყნებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პრიორიტეტი. 1952 წელს თურქეთი გახდა ნატოს წევრიც, რითიც ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი უშუალოდ გაუმეზობლდა საბჭოთა კავშირს სამხრეთ კავკასიის საზღვრის სახით. თურქეთის ნატოში გაწევრიანებით თავისუფალი ერების სასარგებლოდ მნიშვნელოვნად გადაიხარა ძალის ბალანსი, ვინაიდან საბჭოეთს აღარ უნდა ჰქონოდა თურქეთის ნეიტრალური პოზიციის იმედი მსოფლიოს წამყვან კონფლიქტებში. ამ ნაბიჯით გაქრა შესაძლებლობა, რომ რუსი სამხედროები შეძლებდნენ ახლო აღმოსავლეთის დაპყრობას ერზრუმის ხაზზე მყოფი თურქი სამხედროების მონაწილეობის გარეშე და ახლა ეს უპირატესობები დასავლეთის მხარეს იყო (McGhee. G.C. 1954. Pp.617). სავარაუდოა, რომ თურქეთს ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე კარგად ესმოდა თავისი უპირატესობები, როგორც დიდი ძალებისათვის, ისე, ძლიერების ზენიტში, საკუთარი ჰეგემონობის უზრუნველსაყოფად. ეპოქის საჭიროებებიდან და მოცემულობებიდან გამომდინარე, ის პრაგმატულად იყენებდა საკუთარ მდებარეობას და მნიშვნელობას და თუკი ორპოლუსიანი მსოფლიო წესრიგის პირობებში ძლიერის მხარეს დგომა იყო მომგებიანი, ცივი ომის დასრულების შემდეგ, გამოიკვეთა დამოუკიდებელ ძალად ჩამოყალიბების შანსიც და სურვილიც, რამდენადაც მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთასორისო სისტემის ხასიათი და საერთასორისო არენაზე ბევრი ახალი, დამოუკიდებელი აქტორი გამოჩნდა, ხოლო თუკი საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს დავუჯერებთ, უნიპოლარული სისტემა (წარმოდგენილი აშშ–ის ჰეგემონობით) ნაკლებად სტაბილური და სიცოცხლისუნარიანია.

აღნიშნულ ზოგად გარემობებს თუ დავუმატებთ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების, შედარებით რადიკალურად განწყობილი ძალების მოსვლას ხელისუფლებაში, მაშინ მოულოდნელი სულაც არ იქნება, იმის თქმა, რომ თურქეთი ცდილობს ორ დიდ ძალასთან წარმატებული ლავირებით თავისი მნიშვნელობა და ადგილი გაზარდოს როგორც რეგიონულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

თურქეთის მცდელობა არენაზე წარმოჩინდეს დამოუკიდებელ აქტორად კარგად ჩანს ყველა იმ რეგიონულ კონფლიქტში, რომელშიც ის არის ჩართული. სირიის კრიზისში ანკარას პოზიცია საწინააღმდეგოა როგორც რუსეთის, ისე აშშ–ის პოზიციისა, ერდოღანი ღიად ეწინააღმდეგება როგორც ბაშარ ალ ასადის რეჟიმს სირიის ხელისუფლების სათავეში, ასევე ქურთების მუშათა პარტიას. თურქეთის დასავლეთთან ურთიერთობების თავისებურების კარგი ინდიკატორია მისი პოზიციების შესწავლა შავი ზღვის რეგიონში. 2008 წლის აგვისტოს ომისა და განსაკუთრებით 2014 წლის ყირიმის ანექსიის შემდეგ, შავი ზღვის უსაფრთხოების მოთხოვნები ახალი სიცხადით გამოჩნდა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დღის წესრიგში, რამდენადაც შავი ზღვის მოსაზღვრე სამი სახელმწიფო, ბულგარეთი, რუმინეთი და თურქეთი ალიანსის წევრი, ხოლო უკრაინა და საქართველო მისი პარტნიორი სახელმწიფოები არიან. თუმცა შავი ზღვის საქმეებში თურქეთი ჩართულია არა როგორც ნატოს წარმომადგენელი და წევრი ქვეყანა, არამედ დამოუკიდებელი აქტორი, რომელიც თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებს. რამდენადაც აღნიშნულ ლოკაციაზე აგრესორისა და საფრთხისმთავარი წყაროს ვინაობა უფრო მეტად ცალსახაა, ხოლო თურქეთი მკაფიოდ და ღიად უჭერს მხარს უკრაინის, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებელი მისწრაფებები ამ შემთხვევაში დასავლეთთან ინტერესთა კოფლიქტის სახით ნაკლებად იკვეთება. სანაცვლოდ თურქეთი, როგორც სრუტეებზე კონტროლისა და შავ ზღვაზე ყველაზე დიდი სანაპირო ხაზის მქონე ქვეყანა, კატეგორიულად ეწინააღმდეგება მონტროს ხელშკრულების პირობების გადახედვას. ხელშეკრულებისა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1936 წელს დაიდო თურქეთთან და ერთ–ერთი იყო იმ აქტებს შორის, რომლებმაც მისი თანამედროვე საზღვრები და სტატუსი განსაზღვრა. ხელშეკრულების პირობებით იზღუდება შავ ზღვაში არაშავიზღვის სახელმწიფოების შემოსვლა, რაც უმთავრესად აშშ–ის შესაძლებლობებს ზღუდავს, აქტიურად ჩაერთოს რეგიონის უსაფრთხოების კომპლექსში და გააძლიეროს ნატოს პოზიციები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა მონტროს ხელშეკურლების პირობების დადგენა აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური და ისტორიული რეალობის შესაბამისად მოხდა და ის დღევანდელ მოცემულობებს არ ასახავს (ტექნიკური თვალსაზრისით გემების შესაძლებლობები და ტონაჟი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა, ხელშეკრულებით დაშვებული პარამეტრები კი საგრძნობლად მცირე შესაძლებლობებს ავითარებს, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკური გარემოებების ცვლილებაზე) ანკარა (ისევე, როგორც კრემლი) მაინც წინააღმდეგია მისი პირობების გადახედვის, ვინაიდან ხედავს მისთვის მინიჭებული უპირატესობებისა და როლის შესუსტების საშიშროებას.

აშშ–სათვის თურქეთი აღარ არის ისეთი სანდო მოკავშირე, როგორც ეს თუნდაც ორი დეკადის წინ იყო. ბოლო წლებში თურქეთს ურთიერთობები გაუფუჭდა ისრაელთანაც. მისი პოზიცია ისრაელ–პალესტინის კონფლიქტის მიმართ აღარ არის ისე მკაფიო თანხვედრაში დასავლეთის პოზიციასთან.

2018 წელს, ღაზას სექტორის საზღვართან 60 პალესტინელი დემონსტრანტის მკვლელობის ფაქტის გამო, რომლებიც აპროტესტებდნენ იერუსალიმში აშშ–ის საელჩოს გახსნას, თურქეთმა ისრაელის ელჩს ქვეყნის დატოვება უბრძანა. ბოლო პერიოდში თურქეთის პრეზიდენტი არ ერიდება არც დამამცირებელი კომენტარების გაკეთებას ისრაელის მიმართ და ღიად მოიხსენიებს ხოლმე მას, როგორც ტერორისტულ სახელმწიფოს (Tulay Karadeniz, Tuvan Gumrukcu, 2018). უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ერდოღანის განცხადებების რიტორიკა ისრაელის მიმართ შედარებით შერბილდა. მისივე განცხადებით, თურქეთი მიისწრაფვის ისრაელთან დაძაბული ურთიერთობების გამოსწორებისაკენ, ხოლო ნოემბრის თვეში გამართა სატელეფონო საუბარი ისრაელ კოლეგასთან, იცხაკ ჰერცოგთან და აღნიშნა ისიც, რომ ქვეყნებს შორის ორმხრივად მომგებიანი დიალოგის გაგრძელება მნიშვნელოვანი და საერთო ინტერესებში შემავალია (Aljazeera, 2021).

2016 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა საკმაოდ ხმამაღალი განცხადება გააკეთა: „მსოფლიო უფრო დიდია, ვიდრე ხუთი ქვეყანა. ვერ დაავალდებულებ სხვებს გააკეთონ ის რასაც ეს ხუთი ქვეყანა ამბობს“. ცხადია, ერდოღანი ამ სიტყვებში გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ ხუთ წევრს გულისხმობდა, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების მთავარი მექანიზმი აქვთ ხელთ. ამით მან გააკრიტიკა და ფაქტობრივად დაუპირისპირდა საერთაშორისო სისტემის დიდ სახელმწიფოებსა და ერთ-ერთ მთავარ ავტორიტეტს - გაეროს. აღნიშნული განცხადებით მან ნათლად დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ აღარ აპირებს იმ დირექტივების მიყოლას, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებითა თუ ძალის პოლიტიკის გზით უკვე დიდი ხანია არის დაკანონებული. კონსტრუქტივიზმი კარგად ხსნის აგრეთვე ერდოღანის მიერ ცენტრალური აზიის თიურქულენოვანი სახელმწიფოების მიმართ გატარებულ პოლიტიკას. ვინაიდან სოციალური ურთიერთობები კონსტრუირებას ახდენენ იმისა, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენ საკუთარ თავებს და სამყაროს, ხოლო რასაც ვფიქრობთ სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ დიდად განსაზღვრავს ჩვენს საქციელს, ნათლად ხსნის თუ რატომ შეიქმნა თიურქულენოვან ლიდერთა სამიტი, რომელსაც დღეს თურქული საბჭოს სახელით ვიცნობთ და, თუ რატომ ხარჯავს ანკარა დიდ ფინანსურ რესურსებს თიურქულენოვანი ქვეყნების განვითარებაზე. ამ ნაბიჯით ერდოღანს სურს მოცემული ქვეყნების ახალგაზრდობაში გააღვივოს იდეა, რომ თურქეთი ნამდვილად ზესახელმწიფოა, რომელიც ღირსეულად შეძლებს საერთო თიურქული ინტერესების გატარებას საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც ახორციელებს რბილი ძალის გამოყენების გზითაც (კერძოდ მრავალფეროვანი საგანმანათლებლო გაცვლითი პროგრამებით, თურქული ენის პოპულარიზაციითა და საერთო კულტურაზე ხაზგასმით).

ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვრჩეს თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებიც, რომელიც მეტად კომპლექსური ხასიათით გამოირჩევა, ვინაიდან ამ ორი ქვეყნის ინტერესები არა ერთ რეგიონში იკვეთება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ ურთიერთობებზე ცალსახად და გადაჭრით შეუძლებელია ვთქვათ, რომ ისინი მოკავშირეობრივ, ან მტრულ ხასიათს ატარებენ.

წარმოუდგენელია ამ ორ ქვეყანაზე საუბრისას ორიოდე სიტყვით მაინც არ შევეხოთ მათ წარსულს, ვინაიდან, ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას, როგორც დღევანდელ მოცემულობაში, ისე შორეული წარსულის გადმოსახედიდანაც, კარგად ხსნის კონსტრუქტივიზმი, რაც

აპრიორი გულისხმობს, რომ ორი ქვეყნის დღევანდელ ინტერესებზე გარკვეულწილად გავლენა იქონია მათი ინტერაქციების ისტორიამაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის მტრული დამოკიდებულებები შეინიშნებოდა კავკასიაში დამეზობლების დღიდან მოყოლებული, რაც რეგიონში უპირობო ჰეგემონობის სურვილით იყო განპირობებული. ამ სურვილზე უარი კი დღემდე არც ერთ მათგანს უთქვამს. მეტიც, მათი ინტერესთა საერთო სფეროს მასშტაბები გაიზარდა და მოიცვა როგორც ცენტრალური აზიის, ისე ახლო აღმოსავლეთის რეგიონები. გვსურს, მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით ამ უკანასკნელზე შევაჩეროთ. ლოკაციაზე, სადაც რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს არაპირდაპირი გზით უპირისპირდებიან, რაც ძირითადად თავად რეგიონის შიგნით, თუნდაც სირიის მაგალითზე, ურთიერთდაპირისპირებული რეჟიმების მხარდაჭერაში გამოიხატება. სწორედ სირიის გამო არა ერთხელ დაძაბულა ურთიერთობები მოსკოვსა და ანკარას შორის. მაგალითისთვის გამოდგება არც ისე დიდი ხნის წინ, 2020 წლის იანვრის ბოლოს, იდლიბის პროვინციაზე ბაშარ ალ ასადის მიერ წამოწყებული იერიშებიც, რომელსაც თავის მხრივ ზურგს ირანი და რუსეთი უმაგრებდნენ. იერიშები მიმართული იყო აღნიშნულ პროვინციაში გამაგრებული ჯიჰადისტების წინააღმდეგ, რომლებიც თურქეთის მიერ არიან მხარდაჭერილნი. კონფლიქტის წარმოშობისთანავე მოსკოვმაც და ანკარამაც ერთმანეთი დაადანაშაულეს, აღნიშნულ კონფლიქტს კი მალევე მოჰყვა რეჯეპ თაიფ ერდოღანის კიევში ვიზიტი, სადაც მან ცხადად აღუთქვა უკრაინის არმიას დახმარება და აღნიშნა, რომ თურქეთი არ აღიარებს ყირიმს რუსეთის ნაწილად (ბატიაშვილი, 2020). ცხადია აღნიშნული განცხადება უარყოფითად იქნა აღქმული მოსკოვში, თუმცა ეს მხოლოდ ერთი მაგალითია თურქეთ-რუსეთის ინტერესთა კვეთის და არაპირდაპირი დაპირისპირებისა. დაახლოებით მსგავსი ტენდენციები შეინიშნება ამ ორ ქვეყანას შორის ისეთ მიკრო რეგიონში, როგორიცაა მთიანი ყარაბაღი, ასევე ურთიერთდაპირისპირებული პოზიცია აქვთ ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, კოსოვოსა და ლიბიაში. ორიოდე სიტყვით შევეხებით მთიანი ყარაბაღის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის „უკომპრომისო“ დაპირისპირებასაც, რათა თვალნათლივ გამოიკვეთოს, თუ რატომ ვერ იქნებიან თურქეთი და რუსეთი ერთმანეთის სტრატეგიული პარტნიორები.

სომხეთ-აზერბაიჯანის ისტორიულ უთანხმოებაში თურქეთი ყოველთვის წარმოადგენდა დაინტერესებულ მხარეს. გამონაკლისი არც 2020 წლის მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ყოფილა, როდესაც თურქეთი ტრადიციულად აზერბაიჯანს უჭერდა მხარს. რუსეთმა ,,ურჩი სომხეთის დასჯა“ გადაწყვიტა ომის საწყის ეტაპზე, თუმცა მოლაპარაკებებში მაინც გამოჩნდა მისი პრო-სომხური პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი აქტიურად იყო ჩართული ყარაბაღის მეორე ომშიც (შეიარაღებას აწვდიდა აზერბაიჯანის მხარეს), ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორმებული შეთანხმება სამმხრივ ხასიათს ატარებდა - 2020 წლის 9 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა რუსეთს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის(BBC, 2020), ეს კი ცალსახად თურქეთისთვის არახელსაყრელ ხასიათს ატარებდა - აღნიშნული შეთანხმების პირობების თანახმად, ლაჩინის კორიდორის გასწვრივ 2000-მდე რუსი ,,მშვიდობისმყოფელი“ ძალის განთავსება კრემლის ყველაზე დიდი სამხედრო ინტერვენციაა რეგიონში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ(TheGuardian, 2020). ის ფაქტი, რომ თურქეთი არ აპირებს რეგიონში პოზიციების რუსეთისთვის დათმობას გამოიხატება

იმაშიც, რომ მალევე რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმდა ახალი შეთანხმება, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანში, აღდამის რეგიონში, გაიხსნა მონიტორინგის ცენტრი, სადაც განთავსდა მათ მიერ ერთობლივი ძალებით დაკომპლექტებული სამხედრო რაზმი (60 სამხედრო მოსამსახურე), რომელთაც ევალებათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შესრულების გაკონტროლება(Reuters, 2021).

რუსეთთან მთელი რიგი ინტერესთა კონფლიქტების მიუხედავად, მოსკოვი და ანკარა კვლავ რჩებიან ეკონომიკურ პარტნიორებად. მეტიც, ერდოღანმა 2019 წელს რუსეთისაგან S-400-ების შეძენაზე მოაწერა ხელი და ფაქტობრივად უარი თქვა ამერიკული F-35-ებით საკუთარი შეიარაღების გაძლიერებაზე (რეალპოლიტიკა, 2021). ამან თავის მხრივ აშშ-სა და თურქეთს შორის დაძაბა ურთიერთობები, თუმცა ზემოთ აღნიშნულმა რუსეთ-თურქეთის ინტერესთა კონფლიქტებმაც, თურქეთს თვალნათლივ დაანახა, რომ კრემლი მისთვის ვერასდროს იქნება სანდო პარტნიორი. ამას ემატება ისიც, რომ დასავლეთის საპირწონედ რუსეთი ვერ ახერხებს თურქეთისათვის ყველა იმ სიკეთის შეთავაზებას, რასაც ის აქამდე იღებდა. მეტიც, ამ ორი აქტორის ქმედებები, როგორც ვიხილეთ, არაერთ რეგიონში ერთმანეთის დაუძლურებისა და გამოფიტვისკენაა მიმართული, პოზიციების დათმობას კი გულითადი კავშირის ჩამოყალიბების გამო არც ერთი სახელმწიფო აპირებს. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთ-თურქეთის ინტერესები შესაძლოა თანხვდებოდეს მოკლევადიან გეგმებში, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი ცალსახად ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავიც კია.

იმისათვის, რომ ნათლად შევაფასოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვიყენოთ კოგნიტური კარტირება, რა გზითაც გავაანალიზებთ თურქეთის საგარეო პოლიტიკური დოქტრინის ავტორის, აჰმეთ დავუთოღლუს, სიტყვით გამოსვლებს. განვიხილავთ საკვანძო ფრაზებს აჰმეთ დავუთოღლუს წიგნიდან „სტრატეგიული სიღრმე – თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა“. დავუთოღლუს მიხედვით, აუცილებელია უახლოეს სამეზობლოში თურქეთმა იმოქმედოს „ნული პრობლემა მეზობელ ქვეყნებთან“ პრინციპით (რაც მოგვიანებით თავად ავტორის მიერვე იქნა უარყოფილი); უახლოეს პერიოდში დამყარდეს „ახალი ოსმანური წესრიგი“; აგრეთვე დავუთოღლუ აღნიშნულ წიგნში ავითარებს მოსაზრებას, რომ თურქეთმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა „მეზობელი ქვეყნები ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ მხოლოდ თურქეთის გავლით და მეშვეობით“. თუკი თურქეთის შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ, მას მართლაც შესწევს გარკვეულწილად ძალა მაქსიმალურად შეასრულოს დავუთოღლუს ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები და მის სამეზობლოში იქცეს ერთგვარ ჰეგემონად, თუმცა ავტორს გაცილებით დიდი ამბიციები აქვს გამოთქმული და დოქტრინაში აღნიშნავს სურვილს, თურქეთი მსოფლიო ლიდერადაც იხილოს, რაზეც მეტყველებს მის მიერ ბილ კლინტონისადმი ნათქვამი ფრაზაც: “თუ თურქეთის გარშემო შემოვავლებთ წრეს 1000 კილომეტრი სიგრძის დიამეტრით, მასში მოექცევა 20 ქვეყანა, ხოლო თუ დიამეტრს 3000 კილომეტრამდე გავზრდით, მასში მოექცევა 70 ქვეყანა. და რამდენი ქვეყანა მოექცევა იმავე სიდიდის წრეში ამერიკის გარშემო? რასაკვირველია, თურქეთი ყოველთვის დაინტერესდება საკუთარი გარემოცვით.”(Tufekci, 2014, გვ. 280). მიუხედავად იმისა, რომ აჰმეთ დავუთოღლუს დოქტრინა დღეს უკვე პოლიტიკური ისტორიის ნაწილი უფროა, აღნიშნული

ამბიციური განცხადება ნათლად მიუთითებს თანამედროვე თურქეთის ინტერესების მასშტაბებზე. რამდენადაა შესაძლებელი ამ მიზნების განხორციელება მატერიალურად, ფიზიკურად არსებული მოცემულობებით (მაგალითად ეკონომიკური, სამხედრო შესაძლებლობებით) იზომება, თუმცა ფაქტია, თურქეთი ეყრდნობა არა მატარეიალურ, არამედ სოციალურ კონსტრუქციებს, თვითაღქმებსა და იდეებს.

დასკვნა

ამგვარად, კვლევამ გვიჩვენა, რომ თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის განსაზღვრაზე ერთდროულად რამდენიმე ფაქტორი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას, მათ შორის შიდა და გარე პოლიტიკური მსაზღვრელები და იდენტობა. თეორიული სარჩულის საკითხისადმი მისადაგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო თურქული იდენტობის კონსტრუირებით, მმართველი პარტია ცდილობს მოსახლეობაში საკუთარი იდეებისათვის მოიპოვოს მხარდაჭერა, რათა საფუძველი მოამზადოს სამომავლოდ თურქეთის, როგორც უნილატერალურ და ანგარიშგასაწევ აქტორად ქცევისათვის, რაც ცხადყო 2016 წლის არშემდგარმა გადატრიალებამ - მთავრობისადმი მოსახლეობის არნახულმა მხარდაჭერამ პირდაპირ წაახალისა ერდოღანი გადაედგა რადიკალური ნაბიჯები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. სწორედ ამიტომ, 2016 წელი მივიჩნიეთ თურქეთის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილების მომტან გარდამტეხ ეტაპად, როდესაც ის ნელ-ნელა ართულებს ურთიერთობებს ნატოსა და ევროკავშირთან და პარალელურად რუსეთთანაც არ აქვს ყველა პოზიციაზე შეთანხმებული აზრი. მაშასადამე, კონსტრუქტივიზმის თეორია ხსნის თურქეთის მისწრაფებას ჩამოყალიბდეს უნილატერალურ აქტორად საერთაშორისო სისტემაში, რომლის საშინაო და საგარეო პოლიტიკური დღისწესრიგის მდგენელები ნასაზრდოები იქნება ნეოოსმანური იდენტობით. აღნიშნული მოსაზრება დაადასტურა მოცემულ კვლევაში განხილულმა მაგალითებმა და თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე ემპირიული დაკვირვების შედეგებმა.

ბიბლიოგრაფია

Aljazeera. (2021, 11 18). *Turkey-Israel continued dialogue 'mutually beneficial': Erdogan*. Retrieved from www.aljazeera.com: https://www.aljazeera.com/news/2021/11/18/turkey-israel-continued-dialogue-mutually-beneficial-erdogan?fbclid=IwAR0UlMxUXHp9McDthl1v8K4Q3US75AmAPF3SCSzjTH4q4iV2lUsjhao9ZwM

Aydin, M. (2006). Determinants of Turkish foreign policy: historical framework and traditional inputs. *Middle Eastern Studies*.

Aydin, M. (2006). Turkey and the Caucasus. *The caucasus and globalization*.

Aydin, M. (2007). Foucault's Pendulum: Turkey in Central Asia and the Caucasus. *Turkish Studies*.

BBC. (2020, 11 10). *Armenia, Azerbaijan and Russia sign Nagorno-Karabakh peace deal*. Retrieved from www.bbc.com: https://www.bbc.com/news/world-europe-54882564?fbclid=IwAR19YqviXdVixOP_jM3MtkG2XMH5aQlTdQCnJApAb5JQM9eRHLEY5qS8MTs

Behravesh, M. (2011). *The Thrust of Wendtian Constructivism.* E-international Relations Students.

Ellehuus, R. (2019). Turkey and NATO: A Relationship Worth Saving. *centre for strategic and international studies* .

Emre Erşen, Mitat Çelikpala. (2019). Turkey and the changing energy geopolitics of Eurasia. *Energy Policy*, 584-592.

Gaines, S. (2017). Repression, Civil Conflict, And Leadership Tenure: A Case Study of Turkey. *Institute for International Economic Policy Working Paper Series*, 17-19.

Hillel Fradkin and Lewvis Libby. (2013). *Erdogan's Grand Visio: Rise and Decline.* World Affairs.

Karaveli, H. (2016). Erdogan's Journey- Conservatism and Authoritarianism in Turkey. *Foreign Affairs*.

Oran, B. (2010). *Turkish Foreign Policy, 1919-2006.* Salt Lake City: The University of Utah Press.

Ozbudun, E. (2006). From Political Islam to Conservative Democracy: The Case of the Justice and Development Party in Turkey. *South European Society & Politics*, 543-557.

Reuters. (2021, 01 20). *Russia and Turkey open monitoring centre for Nagorno-Karabakh*. Retrieved from www.reuters.com: https://www.reuters.com/article/uk-armenia-azerbaijan-monitoring-centre-idUSKBN29Z0FL/?fbclid=IwAR1R8Ekn5ZArwiVvqe22XRWpBkJti-ieiCbCmDLSqWkPpb3QMMW559pgg_U

Sari, K. (2017). Turkic Council Countries: Infrastructure, Trade, Logistics and Transportation. *SAM - Center for Strategic Studies*, 13-18.

TheGuardian. (2020, 11 10). *Nagorno-Karabakh peace deal reshapes regional geopolitics*. Retrieved from www.theguardian.com: https://www.theguardian.com/world/2020/nov/10/nagorno-karabakh-peace-deal-turkey-russia-reshapes-regional-geopolitics?fbclid=IwAR1vVk1zIjh1Xm9luHhm6b5MJ_UvVLIwIvZGDKTcrfKCsAxs94ayx29dZpM

Theys, S. (2019). *Theory in Action: Constructivism and Bhutan's National Interests.* E-international Relations Students.

Tufekci, O. (2014). *Ahmet Davutoglu's foreign policy understanding: A blend of westernist and multiculturalist Eurasianism.* Trabzon: Karadeniz Technical University.

Tulay Karadeniz, Tuvan Gumrukcu. (2018, 05 15). *Turkey and Israel expel envoys over Gaza violence*. Retrieved from www.reuters.com: https://www.reuters.com/article/us-israel-usa-embassy-turkey-idUSKCN1IG1ZK?fbclid=IwAR3caShfT0TOjXsSs18cNrGGEg0zm1V7vWK0S3LDMQfZ2jxQT0fWvhPIQh4

Turkic Culture and Heritage Foundation. (2021, 01 28). *Education*. Retrieved from Turkkon.org: https://www.turkkon.org/en/iliskili-kurumlar/turkic-culture-and-heritage-foundation_5

Weber, M. (2018). Martens Centre. *European View*, 52-57.

Wendt, A. (1995). *Constructing International Politics.* Massachusetts: The MIT Press.

აკობია, ე. (2006). *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ბატიაშვილი, ზ. (2020, 02 08). *რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება სირიაში*. Retrieved from www.gfsis.org: https://www.gfsis.org/ge/blog/view/1029

გაჩეჩილაძე, რ. (2018). *ახლო აღმოსავლეთი (ტომი I).* თბილისი: სუკაკაურის გამომცემლობა.

რეალპოლიტიკა. (2021). *ერდოღანი: თურქეთი რუსულ საჰაერო თავდაცვის სისტემებს იყიდის.* Retrieved from https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/erdoghani-turqeti-rusul-sahaero-tavdatsvis-sistemebs-iyidis

სვანიძე, მ. (2007). *თურქეთის ისტორია 1299-2000.* თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი.